SEPTEMBER 13 19:00

ნიკოლაი შეპს-ცნაიდერი – დირიჟორი
დავით ხრიკული – ფორტეპიანო
პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი

ფრედერიკ შოპენი (1810-1849)
კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის No. 2 ფა მინორი, თხზ. 21
Maestoso
Larghetto
Allegro vivace

რიხარდ შტრაუსი (1864-1949)
სიუიტა ოპერიდან „ვარდების კავალერი“, თხზ. 59

მორის რაველი (1875-1937)
ვალსი

Nikolaj Szeps-Znaider – Conductor
David Khrikuli – Piano
Pan-Caucasian Youth Orchestra

Frédéric Chopin (1810-1849)

Concerto for Piano and Orchestra No. 2 in F Minor, Op. 21
Maestoso
Larghetto
Allegro vivace

Richard Strauss (1864-1949)
Der Rosenkavalier Suite, Op. 59

Maurice Ravel (1875-1937)
La Valse

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ფრედერიკ შოპენი
კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის No. 2 ფა მინორი, თხზ. 21
ფრედერიკ შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი ითვლება მის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად. 19 წლის გენიოსის მიერ 1829 წელს შექმნილი თხზულება უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს პიანისტთა რეპერტუარში. ნაწარმოები დაიწერა იმ დროს, როდესაც შოპენი ჯერ კიდევ საკუთარი ენის ძიების პროცესში იყო. ამ დროს მასზე დიდი გავლენა მოახდინა ისეთი კომპოზიტორების საფორტეპიანო კონცერტებმა, როგორიცაა მოცარტი და ბეთჰოვენი. მეორე კონცერტი მიჰყვება კლასიკური კონცერტების ტრადიციულ სამნაწილიან სტრუქტურას, თუმცა შოპენმა შეავსო ეს სტრუქტურა პოლონური მუსიკალური კულტურის ელემენტებით. მან გამოიყენა პოლონური მუსიკის მდიდარი ჰარმონიები, რთული ორნამენტები და ექსპრესიული მელოდიები, რაც მოგვიანებით მისი სტილის მახასიათებლად იქცა. საინტერესოა, რომ მეორე საფორტეპიანო კონცერტი პირველ კონცერტამდე ადრე შეიქმნა, მაგრამ ის მოგვიანებით გამოქვეყნდა, რამაც გამოიწვია კონცერტების დამაბნეველი ნუმერაცია. კონცერტის

შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა შოპენის სიყვარული კონსტანცა გლადკოვსკას მიმართ. „სამწუხაროდ, მე უკვე მყავს ჩემი იდეალი, რომელსაც ერთგულად ვემსახურები ისე, რომ მისთვის უკვე ნახევარი წელია ხმა არ გამიცია; მე მასზე ვოცნებობ და სწორედ მისთვის შეიქმნა ჩემი კონცერტის ადაჯიო“,- წერდა იგი ტიტუს ვოიჩეხოვსკის 1829 წლის 3 ოქტომბერს. თუმცა, როდესაც კონცერტი რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა, მიძღვნის ადრესატი გახდა დელფინა პოტოცკა - შოპენის ერთ-ერთი სტუდენტი და მეგობარი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი პირველად 1830 წლის 17 მარტს ვარშავის ეროვნულ თეატრში შესრულდა. სოლისტი თავად კომპოზიტორი გახლდათ. მას შემდეგ კონცერტი კლასიკური მუსიკის სამყაროში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მას ხშირად ასრულებენ მთელს მსოფლიოში უდიდესი პიანისტები და ორკესტრები.

რიხარდ შტრაუსი
სიუიტა ოპერიდან „ვარდების კავალერი“, თხზ. 59
რიხარდ შტრაუსმა ოპერა „ვარდების კავალერი“ 1909–1910 წლებში შექმნა, მისი ერთ-ერთი უახლოესი შემოქმედებითი თანამოაზრის, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის ლიბრეტოზე. ოპერის პრემიერა 1911 წლის 26 იანვარს დრეზდენში შედგა და ნაწარმოები მალევე შტრაუსის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სასცენო ქმნილებად იქცა. მოქმედება XVIII საუკუნის ვენაში ვითარდება და მარშალინას, ახალგაზრდა ოქტავიანის, სოფისა და ბარონ ოქსის ისტორიას აერთიანებს. ოპერის მუსიკამ მალე დამოუკიდებელი საკონცერტო ცხოვრებაც დაიწყო, განსაკუთრებით კი მისმა ვალსებმა და რამდენიმე მნიშვნელოვანმა საორკესტრო ეპიზოდმა. დღეს შესრულებულ სიუიტაში გაერთიანებულია ოპერის ყველაზე ცნობილი მონაკვეთები. ამ ფორმით იგი იმ ოპერის ერთგვარ კონცენტრირებულ საორკესტრო პორტრეტს წარმოადგენს, რომელიც პრემიერის შემდეგ საერთაშორისო საოპერო რეპერტუარში მყარად

დამკვიდრდა.

მორის რაველი
ვალსი
მორის რაველის ვალსი - ქორეოგრაფიული პოემა ორკესტრისთვის - დაიწერა 1919-1920 წლებში. ამ ნაწარმოების შექმნაში წვლილი მუძღვის სერგეი დიაგილევს - სწორედ მან დაუკვეთა რაველს ვალსი, მაგრამ შემდგომ უარი განაცხადა ბალეტის პროდიუსირებაზე. ეს ფაქტი დიაგილევსა და რაველის შორის განხეთქილების საბაბად იქცა. თუმცა მოგვიანებით რაველის მუსიკამ ჯორჯ ბალანჩინის ყურადღება მიიპყრო: 1951 წელს მან შექმნა ბალეტი „La Valse", რომელშიც რაველის ორი ნაწარმოები — „კეთილშობილური და სენტიმენტალური ვალსები" და ვალსი — გააერთიანა. ვალსით რაველმა პატივი მიაგო საყვარელ ჟანრს. „შენ იცი, როგორ მიტაცებს მე ეს არაჩვეულებრივი საცეკვაო რიტმები, და როგორ ვაფასებ სიცოცხლის სიხარულს, გამოხატულს ამ ცეკვაში..." - უთქვამს მას თავისი ერთ-ერთი მეგობრისთვის. არსებობს მოსაზრება, რომ რაველის ვალსი მცდელობაა I მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის ასახვისა, თან არც თუ ისე სენტიმენტალური სახით. როგორც ბრიტანელი კომპოზიტორი ჯორჯ ბენჯამინი წერდა, „რაველის ვალსი თითქოს მეტაფორაა დიდი ომის შედეგად დაბრკოლებების წინაშე აღმოჩენილი ევროპული ცივილიზაციისა. ერთნაწილიან ნაწარმოებში ისმის, როგორ იბადება, კნინდება და ბოლოს ნადგურდება მუსიკალური ჟანრი - ვალსი". თუმცა თავად რაველის სიტყვები, მიწერილი ვალსის პარტიტურის შესავალში, ოდნავ უფრო ოპტიმისტურად ჟღერს: „მოქუფულ ღრუბლებს მიღმა ბუნდოვნად ჩანან ვალსის რიტმში მოცეკვავე წყვილები. ღრუბლები თანდათან იფანტება და ჩნდება მოცეკვავე ხალხით სავსე უზარმაზარი დარბაზი. სცენა თანდათან ნათდება... ჭაღების შუქები ფეთქდება ფორტისიმოზე... მოქმედება ხდება საიმპერატორო კარზე, დაახლოებით 1855 წელს..." მიუხედავად იმისა,

განიხილავდა თუ არა რაველი ვალსს გამქრალი ევროპის ალეგორიად, მის მიერ წარმოსახული სამყარო აშკარად წარსულს ეკუთვნის. იმპერიული საცეკვაო დარბაზის ბრწყინვალება აქ აღდგენილია მოხიბლულობითა და სიყვარულით, თუმცა იმ კომპოზიტორის დისტანციიდან, რომელიც ომის შემდეგ წერდა — ომისა, რომელმაც ევროპა სამუდამოდ შეცვალა.

ამ დროს საქართველოში...
იმ პერიოდში, როდესაც რაველი ვალსზე მუშაობდა — 1919–1920 წლებში — საქართველო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით ინტენსიურ პერიოდს განიცდიდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1919 წელი, რომელიც ქართული ეროვნული ოპერის დაბადების წლადაც მიიჩნევა. 5 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 21 თებერვალს — ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ხოლო 11 დეკემბერს — ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. ამგვარად, თითქმის იმავე დროს, როდესაც რაველი თავის ნაწარმოებში XIX საუკუნის ვენური ვალსის უკვე წარსულად ქცეულ სამყაროს იხსენებდა, ქართველმა კომპოზიტორებმა ჩამოაყალიბეს ახალი ეროვნული საოპერო ტრადიციის საფუძველი.

Programme Notes
by Nino Jvania

Frédéric Chopin
Concerto for Piano and Orchestra No. 2 in F Minor, Op. 21
Frédéric Chopin’s Piano Concerto No. 2 is one of his most beloved and frequently performed works. Composed in 1829, when Chopin was only nineteen, it belongs to the period in which the young composer was developing his

individual musical voice and establishing himself both as a pianist and as a composer. Although the concerto follows the traditional three-movement structure inherited from the Classical concerto, Chopin infused it with the expressive lyricism, ornamental detail, and Polish character that would become hallmarks of his mature style. Interestingly, the Second Piano Concerto was actually composed before the First, but published later, which accounts for the apparently reversed numbering. The work is also connected with Chopin's feelings for his first love, the singer Konstancja Gładkowska. In a letter to his friend Tytus Woyciechowski dated 3 October 1829, Chopin wrote of an "ideal" whom he had admired from afar and confessed that the Adagio of his concerto had been composed in her memory. The concerto was published several years later with a dedication to Delfina Potocka, one of Chopin's pupils and a close friend. Its first public performance took place on 17 March 1830 at the National Theatre in Warsaw, with Chopin himself as soloist. The work has remained a central part of the piano concerto repertoire ever since.

Richard Strauss
Der Rosenkavalier Suite, Op. 59
Richard Strauss composed "Der Rosenkavalier" in 1909–10 to a libretto by Hugo von Hofmannsthal, one of his closest artistic collaborators. The opera received its premiere in Dresden on 26 January 1911 and quickly became one of Strauss's most successful stage works. Set in eighteenth-century Vienna, it combines comedy, social observation, and a story centred on the Marschallin, the young Octavian, Sophie, and Baron Ochs. The opera's music soon acquired an independent concert life, especially its waltzes and several of its larger orchestral episodes. The orchestral suite was assembled decades after the opera's premiere and brings together some of its best-known scenes and dances. In this form, the suite offers a concentrated orchestral portrait of an opera that

has remained in the international repertory since its premiere.

Maurice Ravel
La Valse
Maurice Ravel's La Valse, a "choreographic poem" for orchestra, was composed in 1919–20. Sergei Diaghilev commissioned the work; however, he ultimately refused to produce it as a ballet, a decision that brought his collaboration with Ravel to an end. Nevertheless, the music later attracted George Balanchine, who created his ballet La Valse in 1951, using both Ravel's Valses nobles et sentimentales and La Valse. With La Valse, Ravel paid tribute to one of his favourite genres. "You know my intense attraction to these wonderful rhythms and that I value the joie de vivre expressed in the dance…", he wrote to a friend while working on the piece. The work has often been interpreted as a reflection on Europe after the First World War. As the British composer George Benjamin observed, "whether or not it was intended as a metaphor for the predicament of European civilization in the aftermath of the Great War, its one-movement design plots the birth, decay and destruction of a musical genre: the waltz." Ravel's own words in the preface to the score, however, present a more concrete theatrical image: "Through whirling clouds, waltzing couples may be faintly distinguished. The clouds gradually scatter: one sees … an immense hall peopled with a whirling crowd. The scene is gradually illuminated. The light of the chandeliers bursts forth at the fortissimo… Set in an imperial court, about 1855." Whether or not Ravel intended La Valse as an allegory of a vanished Europe, the world he evokes unmistakably belongs to the past. The splendour of the imperial ballroom is recalled with fascination and affection, but also from the distance of a composer writing after a war that had transformed Europe forever.

Meanwhile in Georgia…

While Ravel was composing La Valse in 1919–20, Georgia was living through the brief period of the First Democratic Republic, and Georgian musical culture was undergoing an extraordinary transformation. The year 1919 in particular has been described as the birth year of Georgian national opera. On 5 February, Dimitri Arakishvili's "The Legend of Shota Rustaveli" was staged at the Tbilisi Opera Theatre; on 21 February came the premiere of Zakaria Paliashvili's "Abesalom and Eteri"; and on 11 December Victor Dolidze's comic opera "Keto and Kote" received its premiere. Thus, at almost exactly the moment when Ravel was looking back at the vanished world of the nineteenth-century Viennese waltz, Georgian composers were creating works that helped establish a new national operatic tradition.